

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

სტუდენტური კონფერენცია:

„ადამიანის უფლებათა დაცვა: თეორია და პრაქტიკა“

ემდგნება აკადემიკოს ლევან ალექსიძის ხსოვნას

1. კონფერენციის მიზანი: სტუდენტებისათვის ადამიანის უფლებათა თეორიისა და პრაქტიკის მიმართ ინტერესის გაზრდა და მათი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

საკონფერენციო თემა შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერი უნივერსიტეტის როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტმა. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი უნდა იყოს დაცული. მოხსენება არ უნდა იყოს წარდგენილი სხვა კონფერენციაზე, ხოლო იმავე შინაარსის ნაშრომი არ უნდა იყოს უკვე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად წარდგენილი. კონფერენციის სამუშაო ენაა ქართული.

2. შინაარსობრივი მოთხოვნები საკონფერენციო მოხსენებისათვის/სტატიისათვის

საკონფერენციო მოხსენებაში/სტატიაში უნდა იქნეს განხილული ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური საკითხები, რომლებიც უნდა შეირჩეს თავად სტუდენტის მიერ. კრებულის თემატიკა უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება საქართველოს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გავლენას საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, მათ შორის საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა პრაქტიკაზე.

სასურველია, რომ საკონფერენციო მოხსენებაში/სტატიაში პასუხი გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: როგორ უზრუნველყოთ ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვა როგორც საერთაშორისო დონეზე (ევროპული სასამართლო, გაეროს სისტემის ფარგლებში და სხვა), ისე საქართველოში? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ სტანდარტებთან? უცხო ქვეყნების რომელი საუკეთესო პრაქტიკა უნდა დავამკვიდროთ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა მაღალი ხარისხით დაცვა საქართველოში? როგორ უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი საქართველოში, რათა დაცული იყოს ევროპული სტანდარტები?

სტატიებში სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს ადამიანის უფლებათა პრობლემებს, ევროპული სასამართლოს ფუნქციონირებას, საქართველოს

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და გამოითქვას ავტორთა შეხედულებები არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტი ვალდებულია **30 ოქტომბრამდე** წარმოადგინოს მათ მიერ შერჩეული, ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებული თემის მოკლე მიმოხილვა და აქტუალობის დასაბუთება.

სპეციალურად შექმნილი საბჭო იმსჯელებს შესაბამის თემაზე და მოწონების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებული იქნება დეკემბრის დასაწყისში აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს თავისი თემა (10 წუთი).

30 ნოემბრამდე სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სტატია იმავე თემაზე, რომელიც მომზადდება აკად. წერის სტანდარტების დაცვით (იხ. ტექნიკური მოთხოვნები სტატიებისათვის).

საბჭო შეაფასებს კონფერენციაზე სტუდენტების გამოსვლას, ისევე როგორც მათ მიერ მომზადებულ სტატიას და შეარჩევს 3 საუკეთესო სტუდენტს, რომლებიც მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს.

სტუდენტების საუკეთესო ნაშრომები გამოქვეყნდება თსუ-ს მიერ.

3. ტექნიკური მოთხოვნები სტატიებისათვის

სტატია უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა); იგი წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად ქართულ ენაზე; სტატიას უნდა დაერთოს მისივე კომპიუტერული ვერსია; აწყობილი უნდა იყოს შრიფტით - Sylfaen (ქართ.) და Sylfaen (ლათ.), ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12, სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა - 10.

გვერდების რაოდენობა - 10-იდან 25-30-ამდე.

სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული თითოეული გვერდის ბოლოს.

წყაროები ციტირებული უნდა იყოს შემდეგნაირად (ციტირების წესის დაუცველობის შემთხვევაში სტატია ვერ გამოქვეყნდება კრებულში):

ა) **წიგნი**: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, ნაშრომის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ.: ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2010, 15.);

ბ) **საჟურნალო სტატია**: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება *იტალიკით*, ჟურნალის დასახელება, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი. მაგ.: ქ. პოლმანი, *ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კვლევების ზოგიერთი პერსპექტივა*, ქართული სამართლის მიმოხილვა, I, 2001, 83;

წიგნის, ჟურნალის და სტატიის სახელწოდების მითითება ხდება დედნის ენაზე. უცხოენოვანი წიგნის დასახელება არ ითარგმნება ქართულ ენაზე.

გ) **საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გადაწყვეტილებები** მიეთითება შემდეგნაირად: საქმის სახელი ქართულ და ორიგინალის ენებზე *იტალიკით*, გადაწყვეტილების მიღების თარიღი და პუნქტი. მაგ. *ბრონდა იტალიის წინააღმდეგ (Bronda v. Italy)*, 1998 წლის 9 ივნისი, 21-ე პუნქტი;

დ) სასურველია, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან იქნეს აცილებული მითითება **ინტერნეტწყაროზე**. თუ წყარო, რომელსაც იშველიებს ავტორი, ხელმისაწვდომია მხოლოდ ინტერნეტით, აუცილებელია, მიეთითოს არა სრული ბმული, არამედ ძირითადი გვერდი.

ე) რამდენიმე რჩევა ქართულ ენაზე აკადემიური ნაშრომის მომზადების თვალსაზრისით:

- არ გამოიყენოთ ზმნა „წარმოადგენს“ ზმნა „ყოფნის“ მნიშვნელობით. ამ ორ სიტყვას ხშირად იყენებენ სინონიმებად, რაც არ არის სწორი. მაგ., ხშირად ამბობენ: „სამართლებრივი რეფორმა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების წინაპირობას“. მართებული იქნებოდა, გვეხმარა ზმნა „არის“ („სამართლებრივი რეფორმა არის ქვეყნის განვითარების წინაპირობა“). ამასთანავე, მაგ., სწორია: „საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას“. ცხადია, რომ ენობრივი თვალსაზრისით არ იქნება მართებული, ამ წინადადებაში ვიხმაროთ სიტყვა „არის“ (საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში არის ჩვენი ქვეყანა!!!);
- არ გამოიყენოთ შესიტყვება „ადგილი აქვს“, რადგან ეს არის სხვა ენიდან შემოტანილი გამოთქმის კალკი (иметь место). მაგ. ხშირად არასწორად იყენებენ ამ გამოთქმას შემდეგ კონტექსტში: „ადამიანის უფლებათა დარღვევას ჰქონდა ადგილი“ (უნდა იყოს: დაირღვა ადამიანის უფლებები);
- ასევე არ გამოიყენოთ გამოთქმა „ზომების მიღება“, რომელიც ასევე სხვა ენიდან შემოსული კალკია (принять меры). ქართულ ენაში სიტყვა „ზომა“-ს განსხვავებული დატვირთვა აქვს. მაგ. „გენერალს აუღეს ზომები და შეუკერეს მუნდირი“. სწორია, ვიხმაროთ გამოთქმა „ლონისძიების გატარება“. სახელმწიფომ გაატარა ლონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად;
- „მიმართებაში“-ს ნაცვლად გთხოვთ, გამოიყენოთ სიტყვა „მიმართებით“.
- სიტყვა „პარაგრაფი“-ს ნაცვლად სწორია, იხმაროთ „პუნქტი“.
- უცხო ენიდან შემოსული კალკია სიტყვა „აქტივობა“ (ცხადია, რომ ამ სიტყვას ხმარობენ სხვა დატვირთვით, ვიდრე სიტყვას „აქტიურობა“). სწორია გამოვიყენოთ სიტყვები: „საქმიანობა“, „ლონისძიება“, „წვეულება“. მაგ.: „პოლიტიკური პარტიის საქმიანობამ განაპირობა მისი წარმატება“; ან: „საზეიმო წვეულებამ ყველა დამსწრე აღაფრთოვანა“.